

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N1

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

01.03.2021 წელი

15:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა  
ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე -  
გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 16 წევრი:  
გიორგი ივანიაძე, სალომე ფახურიძე, მიხეილ სვანაძე, ლელა ჩიკვაიძე, მარინა ღვინიანიძე, ნატო  
დვალიშვილი, გელა ჩიკვაიძე, თამარ მნელაძე, გვანცა სიგუა, თამთა დვალიშვილი, გურანდა  
გვანცელაძე, ნათია ძოძუაშვილი, თამარ შენგელია, ეთერი ჭიჭინაძე, თამაზი თავაძე, ნანა  
ლილუაშვილი.

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, ივანე მამფორია,  
ნიკოლოზ დვალიშვილი, მამუკა ნამიჭეიშვილი, ტარიელ ბარამიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას უძღვებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ივანიაძე. მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა და  
გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო:

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2021 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: /სალომე ფახურიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაციის მოსმენა;

მომხს: /გიორგი ივანიაძე/

**დაადგინეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:** გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2021 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და აღნიშნა, რომ „საბჭოს შეხვედრები მოგეხსენებათ კვარტალში ერთხელ გაიმართება, საბჭოს სხდომამადე შეიკრიბება სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს საკითხებს უახლოეს სხდომაზე წარმოსადგენად, გენდერული საბჭოს მიერ თვეში ერთხელ ერთი აქტივობა უნდა იქნას განხორციელებული, უმთავრეს გამოწვევად რჩება ინფორმირებულობა გენდერული საკითხების შესახებ, რაშიც ხელი შეგვიშალა პანდემიამ, ასევე ოჯახური ძალადობის სტატისტიკის და დინამიკის შესახებ პერიოდულად უნდა გამოვითხოვოთ ინფორმაცია სამართალდამცავი უწყებიდან, სკოლებთან თანამშრომლობის გზები უნდა ვეძებოთ ისე, რომ ეფექტური ხასიათი მიიღოს მოსწავლე-ახალგაზრდებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებმა.

რაც შეეხება მარტის თვის ღონისძიებებს გასულ წელს საბჭოს პირველ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველმე „ქალტა საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით სიმბოლურად საჩუქრები გადაეცათ შემდეგ ნომინაციაში გამოვლენილ ქალბატონებს:

1. „უხუცესი ექთანი“
2. „სტაჟიანი მექოვე ქალი“
3. „ყველაზე ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედა“
4. „სტაჟიანი პედაგოგი“

ამ ეტაპზე კი მართებულად მიმაჩნია, რომ ქალთა საერთაშორისო დღე-8 მარტი განსაკუთრებულად მივულოცოთ აგვისტოს და ავღანეთის ომში დაღუპულთა გმირების დედებს, ვინაიდან ისინი განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებენ ჩვენის მხრიდან, რაც ტრადიციულ ხასიათს უნდა ატარებდეს, სიტყვას გადავცემ ქალბატონ ლელა ჩიკვაიძეს, რომ გაგვაცნოს ინფორმაცია თუ რას გეგმავს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ამ მიმართულებით, ასევე 25 მარტს „დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით სიმბოლურად მივულოცოთ მუნიციპალიტეტში ასეთი ტიპის ბავშვებს და კონკრეტული ღონისძიება მივუძღვნათ მათ.

**მოისმინეს:** გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა-ლელა ჩიკვაიძემ განმარტა, რომ „პანდემიიდან გამომდინარე ღონისძიებებს არ ვგეგმავთ, სიმბოლური საჩუქრები გვინდა გადავცეთ უხუცესს ექთანს, სტაჟიან მეეზოვე ქალს, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან დედას, სტაჟიან პედაგოგს, სტაჟიან საჯარო მოხელე ქალს და ასევე აგვისტოს და ავღანეთის ომებში დაღუპულთა დედებს.

**აზრი გამოთქვა:** გენდერული საბჭოს წევრმა-მიშიკო სვანაძემ, აღნიშნა, რომ „ავღანეთის და აგვისტოს ომში დაღუპულების გარდა გვყავს აფხაზეთის ომში დაღუპულთა გმირების დედები, რომლებიც ამ კატეგორიის მიღმა არ უნდა დარჩნენ და ისინიც განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებენ ჩვენის მხრიდან, რასაც დაეთანხმა საბჭო.

**აზრი გამოთქვა:** გენდერული საბჭოს წევრმა-ეთერ ჭიჭინაძემ „პანდემიის პირობებში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სადარაჯოზე იდგნენ და ვფიქრობ, რომ ამ ქალბატონებისთვის ქალთა დღის მიღოცვა ჩვენის მხრიდან მადლიერების გამოხატვის ფორმა იქნება.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად საბჭომ განიხილა პირველი საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -16

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:** „ქალთა საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით 8 მარტს სიმბოლურ საჩუქრები გადაეცემათ საქართველოს ერთიანობისთვის დარუპულთა გმირების დედებს.

მოისმინეს: გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაცია, „მოგეხსენებათ საბჭოს წევრის-მერის პირველი მოადგილის-გონიერი მეფარიშვილის გარდაცვალების გამო, საბჭოს შემადგენლობაში მის ადგილს დაიკავებს მერის ამჟამინდელი პირველი მოადგილე-გოჩა ჭუბაბრია.

საბჭომ განიხილა მეორე საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -16


წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: საბჭოს წევრი მერის პირველი მოადგილის-გარდაცვლილი გონიერი მეფარიშვილის ადგილი მერის ამჟამინდელმა პირველმა მოადგილემ-გოჩა ჭუბაბრიამ დაიკავოს.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ივანიაძე



ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე



01.03.2021 წ.